

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მოამბე

СООБЩЕНИЯ

Академии наук грузинской ССР

BULLETIN

OF THE ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

ტომი 102 Том

№3

ივნისი 1981 Июнь

თბილისი • Тбилиси • Tbilisi

#753#

ბ. ჯორბენაძე

-ნ და -რ ელემენტები ფორმანტების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში

(წარმოდგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 5.3.1981)

1. -რ და -ნ ელემენტები შესაძლოა დამოუკიდებლადც გამოდიოდნენ ფორმანტების როლში (დევ-ნ-ა, მგზავ-რ-ი...) და ნაირგვარი გახმოვანებითაც იქნენ წარმოდგენილი (მჩივ-ან-ი, ადგ-ენ-ს; მწუხ-არ-ი, დაადგ-ერ...). ფუძის მაწარმოებლად -ნ უძველეს მასდარებშია დამოწმებული (დევ-ნ-ა, კვებ-ნ-ა, თხოვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა). ხშირად ამგვარად ნაწარმოები მასდარები ზმნურ ფუძეებადაც გამოიყენებიან (დევ-ნ-ი-ს, იპოვ-ნ-ი-ს... უ-დევ-ნ-ი-ა, უ-პოვ-ნ-ი-ა...). გვაქვს შემთხვევები, როცა -ნ და

-ლ ფორმანტთა მონაცვლეობა ზმნურ და სახელად ფუძეებს უპირისპირებს ერთმანეთს (თოვ-ნ-ა და თოვ-ლ-ი, წიხ-ნ-ა და წიხ-ლ-ი, ქორწი-ნ-ებ-ა და ქორწი-ლ-ი...). -რ ფორმანტი ამჟამად ნაკლებპროდუქტიულია და ძნელდება მისი თავდაპირველი დანიშნულების დადგენაც. იგი აშკარად გამოიყოფა ისეთ ფორმებში, როგორებიცაა მწუხ-რ-ი, მძლავ-რ-ი, მგზავ-რ-ი, ხვედ-რ-ი...

-ნ და -რ პრეფიქსებადაც გვხვდება ქართულში: ნ-ძრევა, ნ-ჩქრევა, ნ-ქრევა, ნ-თხევა... ა-რ-ცხვენს, რ-წმენა, რ-წყავს, რ-ქმევა, მა-რ-წუხი... ძველ ქართულში დამოწმებულია ნ-გორება, ნ-წუბება... ჰ-რ-ქუა ფორმებიც.

ხსენებულ ფორმებში -ნ ვერ მიიჩნევა გან- ზმნისწინისეულ ელემენტად (როგორც ეს ა-ნ-თავისუფლებს ფორმაში გვაქვს) შემდეგი მიზეზების გამო: ა) ყველა ჩამოთვლილი -ნ- პრეფიქსიანი ფორმა მასდარია, მასდარში კი ზმნისწინისეული ნაშთი არ გადადის (არის ა-ნ-თავისუფლებს, მაგრამ არ არის *ნ-თავისუფლება; ბ) ეს ფორმები ძველ ქართულშია დამოწმებული, ე.ი. იმ ხანის ქართულში, როცა გან- მოქმედი ზმნისწინი იყო, ამიტომაც მისეული -ნ ფუძის კუთვნილებად ვერ გაიგებოდა; გ) ზმნისწინისეული ელემენტი ფუძეს უპირატესად მაშინ მიეკედლება, როცა რომელიმე ზმნასთან მხოლოდ ერთი ზმნისწინი გამოიყენება. ზემოხსენებული ზმნები კი ამ რიგის ფორმებს არ განეკუთვნება: მათთან ნაირგვარი ზმნისწინის გამოყენება ხერხდება.

2. -რ- მოქმედი ფორმანტია ჭანურში. გვხვდება პრეფიქსადაც (II ობიექტური პირის ნიშანია თანხმოვნების წინ: რ-ჭუნს „გწვავს“, რ-გორუნს „გეძებს“, რ-კითხა „გკითხა“...) და სუფიქსადაც (აწმყო დროის I და II პირის მხოლოდით რიცხვში: პტუბუ-რ „ვთბები“, ტუბუ-რ „თბები“...). ეს კი ალბათ იმას ნიშნავს, რომ -რ- ფორმანტის საკითხი საერთო ქართველურ დონეზე შეიძლება დაისვას, მით უფრო, რომ სათანადო ანალიზის შედეგად ამ ფორმანტის აღდგენაც ხერხდება სხვადასხვა ფორმაში; შდრ.: ჭანური: კრ-ი-ამ-ს (< *რკ-ი-ამ-ს) — მეგრული: რკ-ი-ან-ს — ქართული კივ-ი-ს (იხ. [1], 297). ამოსავალ

#754#

ფორმად ჭანურსა და მეგრულში ივარაუდება *რ-კივ-ამ-ს და *რ-კივ-ან-ს, სადაც -ამ და -ან თემის ნიშნებია (სხვათა შორის, ქართული დიალექტური კივ-ა ფორმაც ამგვარად უნდა ყოფილიყო გაფორმებული: *კივ-ან-ს → კივ-ა ფონეტიკური გამარტივების საფუძველზე), რ- ფორმანტია. ამ რიგის ნიმუშები საკმარისად დაიძებნა ქართველურ ენებში.

3. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ -ნ- და -რ- პრეფიქსადაც გამოიყენებოდა და სუფიქსადაც. რა მიმართება უნდა ყოფილიყო ნ- პრეფიქსსა და -ნ სუფიქსს (ერთი მხრივ) და რ- პრეფიქსსა და -რ სუფიქსს შორის (მეორე მხრივ)? აქ ორი შესაძლებლობაა: ა) პრეფიქსსა და სუფიქსს ერთი და იგივე მნიშვნელობა შეჰქონდა ფუძეში, პოზიციური სიმყარე კი არ ახასიათებდა: წუხ-რ (მწუხ-რ-ი) და რ-წუხ (მა-რ-წუხ-ი) ნ-თხევა და თხევ--ნ-ა... ბ) ერთსა და იმავე ელემენტს პრეფიქსად და სუფიქსად გამოყენებისას სხვადასხვა მნიშვნელობა შეჰქონდა ფორმაში და, ამდენად, პოზიციურად მყარად იყო განაწილებული...

4. ქართულში დამოწმებულია შემთხვევები, როცა -ნ და -რ ფორმანტები სემანტიკურად უპირისპირებს ერთმანეთს წარმოებულ ფუძეებს: გზავ-ნ-ი-ს — მგზავ-რ-ი, კად-ნ-იერი — კად-რ-ება, თავ-ნ-იერი („თადარიგიანი, გამძლოლი...“) — თავ-რ-იელი (<*თავ-რ-იერი, „საქონლის თავის ტყავი“). ძველი ქართულიდან ამას დაემატებოდა: შეწუხ-ნ-ა — მწუხ-რ-ი...

5. -ნ და -რ ელემენტები სხვადასხვანაირი გახმოვანებითაც გვევლინებიან ფორმანტებად:

-ან: დგ-ან-ან, ჰყვ-ან-ან, ჰგვ-ან-ან... მ-კივ-ან-ი, მ-ჩივ-ან-ი ტიპის მიმღეობები აღგვადგენინებენ *კივ-ან-ს, *ჩივ-ან-ს, *ყივ-ან-ს, *ტკივ-ან-ს ტიპის ზმნურ ფორმებს. წარმოება იმავე რიგისაა, მღერ-ობ-ს ფორმა რომ გვიდასტურებს. ამ ფორმებს ფონეტიკური გამარტივების შედეგად უნდა მოეცათ ამჟამად დიალექტური კივ-ა, ჩივ-ა, ყივ-ა და სალიტერატურო ენაში გამოყენებული სტკივ-ა;

-ენ: ადგ-ენ-ს, ავლ-ენ-ს. ძველი ქართულიდან ამას დაემატებოდა შევ-წუხ-ენ ტიპის წარმოება;

-არ: მდგ-არ-ი, მჩინ-არ-ი, მწუხ-არ-ი. ზემოთმეორულმა დაამოწმა დგ-არ-ს ზმნური ფორმაც;

-ერ დამოწმებულია ძველ ქართულში დაადგ-ერ ფორმაში...

6. -ნ, -რ-, -ან, -არ, -ენ, -ერ ფორმანტები რთულ და ამჯერად მნელად ამოსაცნობ ურთიერთმიმართებებს ამყარებენ: ერთმანეთს მიემართებიან -ან და -ენ, -არ და -ერ, -ან და -არ, -ენ და -ერ:

ა) *დგ-ან-ს (შდრ.: დგ-ან-ან) — ა-დგ-ენ-ს;

ბ) დგ-არ-ს — და-ა-დგ-ერ; (მხოლოდ ძველ ქართულში);

გ) მ-ტყუ-ან-ი — მ-ა-ტყუ-არ-ა

მ-კივ-ან-ი — მ-კივ-არ-ი

მ-ტკივ-ან-ი — სა-ტკივ-არ-ი

მ-ჩივ-ან-ი — მო-მ-ჩივ-არ-ი; სა-ჩივ-არ-ი...

ვ. თოფურია ივარაუდა სი-ზმ-არ-ი და ზმ-ან-ებ-ა ფუძეთა ურთიერთმიმართება, ნ. მარმა ერთმანეთს დაუკავშირა ტარ-ებ-ა და მი-ტან-ა.

დ) მხოლოდ ძველი ქართული დონეზეა დამოწმებული მიმართება ა-დგ-ენ-ს — და-ა-დგ-ერ.

#755#

გ. დეეტერსი სპეციალურად შეეხო ნ : მ მონაცვლეობას ქართულში და რამდენიმე ფუძე დაუკავშირა ერთმანეთს: სა-უბ-არ-ი — უბ-ნ-ობ-ა, მო-ძლუ-არ-ი — წარ-გ-ი-ძლუ-ან-ებ-დ-ეს, მა-ცთ-ურ-ი — მ-ა-ცთ-უნ-ა, მ-ყოვ-არ-ი — ჰ-ყოვ-ნ-ი-ს, უ-პოვ-არ-ი — პოვ-ნ-ა, სა-ოც-არ-ი — ოც-ნ-ებ-ა და სხვ. ამგვარი დაპირისპირების კვალს იგი სვანურშიც პოულობს, ოღონდ ქართულთან და მეგრულ-ქანურთან შეპირისპირებით [2].

7. ისმის საკითხი ამგვარ მიმართებათა ენობრივი არსის შესახებ. აქ ორი შესაძლებლობაა: ა) -ნ და -რ ელემენტები ფორმანტები დიალექტური ვარიანტებია ერთმანეთის მიმართ, ბ) -ნ და -რ ელემენტები ფორმანტები იმთავითვე სემანტიკურად (გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვით) დაპირისპირებული არიან.

ორივე ამ შესაძლებლობას ეძებნება თავისი დასაბუთება.

დგ-ან და დგ-არ თანამედროვე ქართულში აშკარად დიალექტური ვარიანტებია ურთიერთის მიმართ. ამავე რიგისა ჩანს ამაჟამად მ-კივ-ან-ი და მ-კივ-არ-ი, მ-ტკივ-ან-ი და მ-ტკივ-არ-ი. იმავედროულად არც ისაა გამორიცხული, რომ ამგვარი დიალექტური განაწილება გვიანდელი ფაქტი იყოს: მ-ტკივ-ან-ი, მაგრამ: სა-ტკივ-არ-ი ოდინდელ სემანტიკურ დაპირისპირებას უნდა უჭერდეს მხარს. ასევე ერთ ენობრივ სისტემაშია დამოწმებული დგ-ან-ა და მ-დგ-არ-ი გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით განსხვავებული ფორმები.

სემანტიკური დაპირისპირება უჩანთ ფუძეებს ძღვ-არ (მო-ძღვ-არ-ი) და ძღვ-ან (ხელ-მ-ძღვ-ან-ელ-ი), ზმ-არ (სი-ზმ-არ-ი) და ზმ-ან (ზმ-ან-ებ-ა), ც-არ (უ-მ-ე-ც-არ-ი) და ც-ან (ი-ც-ან), გზავ-ნ (გზავ-ნ-ი-ს) და გზავ-რ (მ-გზავ-რ-ი), დევ-ნ, წევ-ნ (დევ-ნ-ა, მი-წევ-ნ-ა) და დევ-არ, წევრ-არ (მ-დევ-არ-ი, მ-წევ-არ-ი), ასევე: ძველ ქართულში დამოწმებულ დღევ-ან (დღევ-ან-დელ-ი) და დღევ-არ (მ-დღევ-არ-ი) ფუძეებს, თუმცა აქ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ სხვადასხვა დიალექტიდან

შემოსული ფორმები შემდგომ დაუპირისპირდა ერთმანეთს სემანტიკურად. ასეთი რამ პრინციპულად არ არის გამორიცხული.

ჯერჯერობით მიკვლეული და გამოვლენილი მასალა საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. საკითხი კი ამგვარ მიმართებათა შესახებ უთუოდ უნდა დაისვას, რამეთუ ესაა უცილობელი ენობრივი ფაქტი.

8. საკითხი ისმის ხსენებულ ფორმანტთა სხვა რიგის ფორმანტებთან მიმართებათა თაობაზეც. -არ მიემართება არა მხოლოდ -რ და -ან ფორმანტებს (მ-წუხ-არ-ე — მ-წუხ-რ-ი — წუხ-ან-დელ-ი), არამედ -ელ (წუხ-ელ), -ილ (მ-ქუხ-არ-ე — ქუხ-ილ-ი), -ას (მო-ყვ-არ-ე — მო-ყვ-ას-ი), -ევ (ნა-ქალაქ-არ-ი — ნა-ქალაქ-ევ-ი), -ავ (მ-კვდ-არ-ი — მო-კვდ-ავ-ი) ფორმანტებსაც და ა.შ.

რთულ, ურთიერთგადამკვეთ მოვლენებთან გვაქვს საქმე როგორც ფორმოზრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ერთი ნიმუში ამისა: -ელ მიმდევობის მაწარმოებელიცაა (მ-შენ-ებ-ელ-ი) და სადაურობის აღმნიშვნელი სახელისაც (ოპიზ-ელ-ი). ანალოგიური დანიშნულებისა აღმოჩნდება -არ ფორმანტიც: მ-წუხ-არ-ი მიმდევობაა, ოპიზ-არ-ი — სადაურობის აღმნიშვნელი სახელი. აქვე დაისმის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნული მიმართების რაობის შესახებაც: კედ-ელ-ი და კედ-არ-ო...

9. ყველაფერი ეს ქართულში ფუძეთწარმოების უძველესი პრინციპების მოკვლევასთანაა დაკავშირებული და მისი საგანგებო შესწავლა ივარაუდება.

#756#

ზემოთ გაანალიზებული მიმართებანი და ამ მიმართებებში მონაწილე ელემენტები შეიძლება დავახასიათოთ როგორც რელიქტის სახით შემორჩენილი ფრაგმენტები ადრე მოქმედი სისტემისა, რომლის რეკონსტრუქცია შესაძლებლობას მოგვცემს აღვადგინოთ ქართულში არსებული ფორმოზრივი და სემანტიკური მიმართებანი ენის განვითარების ერთ-ერთ უძველეს საფეხურზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 19.3.1981)

Б. А. Джорбенадзе

О СООТНОШЕНИИ ФОРМАНТОВ С ЭЛЕМЕНТАМИ -ბ -n И -რ -r

В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Р е з ю м е

В роли формантов -ბ -n и -რ -r могут выступать как самостоятельно, так и с различными огласовками. Рассмотренные в статье взаимоотношения этих формантов квалифицируются как сохранившиеся в виде отдельных фрагментов реликты древнейшей системы, реконструкция которой способствует восстановлению грамматического облика грузинского языка на одном из древнейших ступеней его развития.

LINGUISTICS

B. A. Jorbenadze

OPPOSITION OF FORMANTS CONTAINING -ბ -n AND -რ -r

IN GEORGIAN

S u m m a r y

-ბ -n and -რ -r can function as formants either independently or with various vocalic elements. The said oppositions and the elements participating in them can be regarded as relics of an older system, reconstruction of which amounts the reconstruction of one of the oldest periods in the development of the Georgian language.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ა რ ნ . ჩ ი ქ ო ბ ა ჯ ა . ჭ ა ნ უ რ - მ ე გ რ უ ლ - ქ ა რ თ უ ლ ი შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი . თ ბ ი ლ ის ი , 1938.
2. გ . დ ე ე ტ ე რ ს ი . ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო - ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი კ რ ე ბ უ ლ ი , 2-3 . თ ბ ი ლ ის ი , 1964.